

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და
ა(ა)იპ “საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტს შორის
ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ. თბილისი

1 ნოემბერი, 2014 წელი

ერთი მხრივ, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში - ``უნივერსიტეტი``) წარმოდგენილი რექტორის, პროფესორ მერაბ ბერიძის სახით და მეორე მხრივ, ა(ა)იპ “საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტი”, (შემდგომში - ``ინსტიტუტი``) წარმოდგენილი გამგეობის თავმჯდომარის, თინათინ ცერცვაძის სახით, ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და მხარეთა უფლებამოსილების ფარგლებში ვთანხმდებით და ვდებთ ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმს შემდეგზე:

1. მემორანდუმის მიზანი

წინამდებარე მემორანდუმის მიზანია, დებატების კლუბის ფუნქციონირების ფარგლებში, დებატების მიმართულებით სხვადასხვა ერთობლივი აქტივობების განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდების საზოგადოებრივ საქმიანობაში მაქსიმალურ ჩართულობას და მოახდენს მათი მრავალმხრივი განათლების ხელშეწყობას.

2. მხარეთა პასუხისმგებლობები:

2.1. ინსტიტუტი იღებს ვალდებულებას

2.1.1. ჩამოაყალიბოს და გაუწიოს მონიტორინგი უნივერსიტეტის დებატების კლუბის მუშაობას;

- 2.1.2. ჩაატაროს სისტემატიური შეხვედრები კვირაში ერთხელ 1-2 საათის განმავლობაში (ერთ მაქსიმუმ 20-მდე მსმენელისგან შემდგარ ჯგუფთან);
- 2.1.3. შეახვედროს შეჯიბრების (შემდგომში ტურნირის) წინ უნივერსიტეტის კლუბის წევრები ქართველ და უცხოელ მოწვეულ ექსპერტებს, რომლებიც პროექტის განმახორციელებელი გუნდისა და სტუდენტების მიერ შერჩეული თემების ირგვლივ ჩაატარებენ სპეციალურ ლექცია-სემინარებს და უზრუნველყოფენ სტუდენტებს სხვადასხვა საინფორმაციო რესურსებით;
- 2.1.4. ჩართოს რესპუბლიკურ ტურნირში კლუბის წევრები. შექმნას ტურნირისთვის საკვლევი პაკეტი. ტურნირის შედეგად გამოავლინოს საუკეთესო მოდებატეები;
- 2.1.5. რესპუბლიკური ტურნირის საუკეთესო მოდებატეებიდან კონკურსით შერჩეული მოდებატე გააგზავნოს პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციის (IDEA) მიერ მოწყობილ საერთაშორისო ფორუმზე;
- 2.1.6. გამართოს უნივერსიტეტის სტუდენტების მონაწილეობით საჯარო დებატები, სტუდენტების მიერ შერჩეული საკითხის გარშემო. ღონისძიებაში უზრუნველყოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლების ჩართვა და დებატების მედია გაშუქება.

3.2. უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას

3.2.1. შეუქმნას მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უნივერსიტეტის დებატების კლუბს ყველა ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების განსახორციელებლად:

- კაბინეტი, აღჭურვილი მეცადინეობისათვის საჭირო ყველა ინვენტარით, ინტერნეტით, პრეზენტაციის საშუალებით, სადაც შესაძლებელი იქნება 20-მდე სტუდენტის ნახევარწრედ მაგიდების გარშემო განთავსება;
- სივრცე, სადაც შესაძლებელი იქნება საჯარო დებატების ჩატარება, გაშუქება, მაყურებლის განთავსება; მიკროფონებით უზრუნველყოფა; ონლაინ ჩართვების უზრუნველყოფა საერთაშორისო პრეზენტაციებისათვის.

3. დასკვნითი დებულებები

- 3.1. მემორანდუმით გათვალისწინებული ერთობლივი პროგრამების, აგრეთვე ცალკეული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგდება შესაბამისი ხელშეკრულების დადების გზით;
- 3.2. დაუშვებელია წინამდებარე მემორანდუმის რომელიმე დებულების შეცვლა, მოდიფიცირება, უარყოფა, გაუქმება ან შეწყვეტა მხარეთა წერილობითი თანხმობის გარეშე;
- 3.3. წინამდებარე მემორანდუმში სათაურებს აქვს მხოლოდ დეკლარაციული ხასიათი და არ იქონიებს გავლენას მემორანდუმის განმარტებაზე. თუ დროის ნებისმიერ მონაკვეთში ამ მემორანდუმის რომელიმე დებულება მიიჩნევა ძალდაკარგულად, ეს გავლენას არ იქონიებს მემორანდუმის, როგორც მთლიანის იურიდიულ ძალასა ან კანონიერებაზე;
- 3.4. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად;
- 3.5. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ერთი წლის ვადით;
- 3.6. მხარეები უფლებამოსილნი არიან ურთიერთშეთანხმებით შეწყვიტონ მემორანდუმი;

მხარეები:

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

საქართველოს დებატებისა და განათლების
ინსტიტუტი

რექტორი, პროფესორი

გამგეობის თავმჯდომარე

მერაბ ბერიძე

თინათინ ცერცვაძე

ბ.ა

ბ.ა

